ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის ივნისის 15.	№ 11 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 140. ა/კსფსრ-ის შორეულ ადგილებში და დიდრონი ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ.

141. ა/კსფსრ-ში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

142. მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოქალაქეთა ერთდროული საბინაო მშენებლობის გამოსაღების გადადებისაგან განთავისუფლების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

143. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და საშენმანგველო საქმის ხელისშემწყობი კომისიების მუშაობის შესახებ.

144. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პროკურატურის მოწყობის შესახებ.

145. ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს მოწყობის შესახებ.

146. ხელისუფლების სარაიონო და ადგილობრივი ორგანოების განმტკიცების კომისიების მუშაობის შესახებ.

147. მოხსენება ა/კსფსრ სასოფლო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ქალთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობის საქმის მსვლელობის შესახებ.

148. „ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-16 მუხლის შეცვლის შესახებ.

149. ა/კსფსრ-ში მარგველისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებაში საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

150. სატელეგრაფო კორესპონდენციის მსვლელობის საკონტროლო ვადების შესახებ.
151. 1931 წელს ხეტყის წყლით ჩამოტატებიებისა და შეშა-ხეტყის დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა შესახებ.
152. საპროექტო და საძიებელო ორგანიზაციების ქსელის განმტკიცებისა, მათი სპეციალიზაციისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

153. ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობებში კვების მდგომარეობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

140. ა/კსფსრ შორეულ ადგილებში და დიდრონი ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ.

„სსრკ ის შორეულ ადგილებში და დიდრონი ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 12-ის დადგენილების მე-2 მუხლისა და იმავე დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 41 №-ი, მუხ. 426 და 427) — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდებენო დებულება ა/კსფსრ შორეულ ადგილებში და დიდრონი ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, გააზუსტოს სათანადო წესისამებრ და გამოაქვეყნოს ა/კსფსრ შორეული ადგილების ნუსხა და აგრეთვე განსაზღვროს ა/კსფსრ დიდრონი ქალაქ ადგილები, სადაც შეღავათები არ მიიცემა.

3. დამატებითი შეღავათები რესპუბლიკანური მნიშვნელობის ცალკეული კატეგორიების მომუშავეთათვის, რომელნიც შორეულ ადგილებში და დიდრონი ქალაქ-ადგილების გარეშე მუშაობენ, შეიძლება დადგენილ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: 1929 წ. მარტის 25-ისა „შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ, მე-6 №-ი, მუხ. 55); 1929 წ. სექტემბრის 16-სა—აღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლის დამატების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 162) და 1930 წ. თებერვლის 28-ისა—იმავე დადგენილების მე-5 მუხლის „ი“ ლიტერის შეცვლის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 70) გაუქმებულ იქნეს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულებიდან და აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 12-ის დებულებიდან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 2.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ შორეულ ადგილებში და დიდრონი ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების შესახებ.

1. იმ მომუშაეთ, რომელნიც სსრკ--ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 12-ის დებულებით „სსრკ-ის შორეულ ადგილებში და დიდრონნი ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 41 №-ი, მუხ. 427) და სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის წესებით ამავე შეღავათების შესახებ („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1930 წ. 31-32 №-ი) მიკუთვნებულ არიან მე-2 და 3 ჯგუფებისათვის და მუშაობენ ა/კსფსრ შორეულ ადგილებში საამერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოსა, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, აქვთ ყველა ის შეღავათი, რაც იმავე დებულებით მინიჭებული აქვთ შე-2 და 3 ჯგუფის მომუშავეთ მე-II ზოლის ადგილებში, ქვემოდ, მე-2—4 მუხლებით გათვალისწინებულ გამონაკლისთა გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამა დებულების მიხედვით მე-2 და 3 ჯგუფის მომუშავეთ შეღავათები ა/კსფსრ შორეულ ადგილებში მიეცემათ, უკეთუ ისინი გაწვეულ ან წარგზავნილ იქნებიან საუშაოდ ამ ადგილებში მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილიდან 1.000 კილომეტრის ნაკლებ მანძილზე რკინის გზით ან 500 კილომეტრის ნაკლებ მანძილზე ყამირგზით თუ წყალსავალი გზით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მომუშავეთ (სამედიცინო და საავტერინარო უბნების გამგეების გარდა—მე-3 და 4 მუხ.):

ა) კომპენსაცია სამუშაო ადგილას წასვლისათვის მიეცემათ შრომის საერთო კანონმდებლობით დადგენილ საფუძვლებზე; ამასთანავე, ეს კომპენსაცია, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება მიეცეს მომუშავეს, ვინცობაა იგი დაქირავებულია ადგილობრივ, აგრეთვე მისი და მისი ოჯახის წევრების ამ ადგილზე გადასვლის შემდეგაც;

ბ) სამუშაო ხელფასის პერიოდული პროცენტული ზედნართი (აღნიშნული, 1930 წ. აგვისტოს 12-ის, დადგენილების მე-15 და 16 მუხ.) და გადიდებული შვებულება (იმავე დებულების მე-18—20 მუხ.) მიეცემათ მხარეთა შეთანხმებით;

გ) ერთდროული დახმარება დათხოვნის დროს (იმავე დებულების მე-13 მუხ.) არ მიეცემათ.

3. სამედიცინო და საავტერინარო უბნების გამგეთ, რომელნიც ა/კსფსრ შორეულ ადგილს და აგრეთვე სოფლად და სამუშე დაბაში მუშაობენ, ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) მორიგი შვებულების ხანგრძლიობა გაუდიდდებათ, შრომის კანონმდებლობით დადგენილ შვებულებასთან შედარებით, 12 სამუშაო დღით და მიენიჭებათ უფლება მოახდინონ შვებულების სუმმირება სამი წლისთვის;

ბ) კვალიფიკაციის თანასწორობის შემთხვევაში მათ, ვინც შორეულ ადგილს და აგრეთვე სოფლად და სამუშე დაბაში იმუშავა შეუწყვეტლივ არა ნაკლებ 3 წლისა, ეძლევათ უპირატესი უფლება დაიპირონ თანამდებობა ქალაქად;

სამედიცინო და საავტერინარო უბნის გამგეთ, რომელნიც ამ სამუშაოზე ახლად იქნებიან მიწვეულნი თუ წარგზავნილნი, მიეცემათ დასაძვრისი და საგზაო ფული დამქირავებლის ხარჯით;

დ) თვითეული სამი წლის მუშაობისათვის მიეცემათ პერიოდული ზედნართი იმ ჯამაგირისა, რასაც ისინი ამ ზედნართის მიცემის დროს იღებენ, წინანდელი ზედნართების ჩაუთვლელად, აღნიშნული ჯამაგირის 20%-ის რაოდენობით, ხოლო ისე, რომ ზედნართების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს ჯამაგირის 100%-ს;

შენიშვნა. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი შეეფარდებათ სამედიცინო და საავტერინარო დარგის მომუშავეთ, რომელთაც 1930 წ. აპრილის 1 თვის აქვთ ამა მუხლში აღნიშნულ ადგილებში სამსახურის სამი წლის სტაჟი;

ე) ისეთ სამუშაოზე მოსაქმეთ, რაც საჭიროებს შემდგომ სამეცნიერო განვითარებას, მიეცემათ, მხარეთა შეთანხმებით, თვითეული ხუთი წლის სამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შემდეგ, სამეცნიერო წარვლინება $1^1/_2$-დან 5 თვემდე ჯამაგირის შენარჩუნებით;

3) მიეცემათ ბინები გათბობით და განათებით, ხოლო უკეთუ მუშაობა დაკავშირებულია მიმოსვლასთან,—აგრეთვე მიმოსვლის საშუალებანი; ამასთანავე, ვინიცობაა სადგომი ნატურად არ მიეცათ, მათი ძირითადი ჯამაგირი გადიდებულ იქნება 10%-ით.

4. გადიდებული შვებულება და სამუშაო ხელფასის პერიოდული ზედნართები ისეთ ქალაქ-ადგილებში, რომლებიც მიკუთვნებული არ არის დიდრონ ქალაქ-დგილებისათვის, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეთ მიეცემათ მხარეთა შეთანხმებით.

დადგენილება ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

141. ა/კსფსრ-ში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ხელშეკრულებებისა და გარიგებებისა და სხვა ქონებრივ დავათა განსახილველად, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. მაისის 3-ს დამტკიცებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 26 №-ი, მუხ. 203), დაარსებულ იქნეს: ა) სახელმწიფო არბიტრაჟი—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან; ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა არ უნდა განიხილოს მისი ქვემდებარე საქმე, უკეთუ დავა 3.000 მან. თანხახე ნაკლებია, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა—1.000 მან. თანხაზე ნაკლები დავა. აღნიშნული დავანი და აგრეთვე 1931 წ. მაისის 3-ს დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი დავანი უნდა განიხილონ სასამართლოს სათანადო ორგანოებმა.

2. სახელმწიფო არბიტრაჟის წესით: ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს ისეთ დავას, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე ფედერატიული მნიშვნელობის ორგანოა ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოს ფედერატიული ორგანო, აგრეთვე დავას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების ორგანოებს შორის და სხვადასხვა რესპუბლიკებში (საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ) შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ორგანოებს შორის; ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს დავას, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე რესპუბლიკის სათანადო ორგანოა ან საერთო-საკავშირო თუ ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოს რესპუბლიკანური ორგანო, ან ადგილობრივი მნიშვნელობის ისეთი ორგანოა, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის თუ ოლქის ორგანოდ არ ითვლება, აგრეთვე—დავას უწყებული რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ორგანოებს შორის; გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს ყველა სხვა დავას, რაც სახელმწიფო არბიტრაჟს ექვემდებარება.

3. სახელმწიფო არბიტრაჟი მოეწყობა სახელმწიფო არბიტრების შედგენილობით, რომელთაც პერსონალურად დანიშნავენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ შედგ-ში შემავალი რესპ ბის სახალხო კომისართა საბჭოები და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები—კუთვნილებისამებრ. სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად იგივე ორგანები დანიშნავენ მთავარ არბიტრს და მის მოადგილეს.

4. დავათა გადაწყვეტის დროს სახელმწიფო არბიტრაჟი იხელმძღვანელებს კანონებს და სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების განკარგულებებს, აგრეთვე სსრკ-ის ეკონომიური პოლიტიკის საერთო საფუძვლებს.

5. სახელმწიფო არბიტრაჟის მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევა დაეკისრება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—კუთვნილებისამებრ. ამ ორგანოებს უფლება აქვთ, ზედამხედველობის წესით, გააუქმონ ან შესცვალონ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან გადასცენ იგი ხელახალი განხილვისათვის.

მთავარ არბიტრს უფლება აქვს, ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, შეაჩეროს მისი აღსრულება და საქმე გადასცეს სახელმწიფო არბიტრაჟს ხელახალი განხილვისათვის.

II.

1. გაუქმებულ იქნეს 2—7 მუხლები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 21-ის დადგენილებისა საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ („ზარია ვოსტოკა"-ს 94 №-ი 1931 წ. აპრილის 6-სა).

2. ამა დადგენილების გამოცემამდე საარბიტრაჟო კომისიების მიერ სასამართლოს ორგანოებისათვის გადაცემული ყველა საქმე უნდა გადაეცეს სათანადო სახელმწიფო არბიტრაჟს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 169 №-ში 1931 წ. ივნისის 22-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

142. მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოქალაქეთა ერთდროული საბინაო მშენებლობის გამოსაღების გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კოიისართა საბჭო ადგენენ:

განთავისუფლებულ იქნეს ერთდროული საბინაო მშენებლობის გამოსაღებისაგან მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში ყველა ის მოქალაქე, ვისაც შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო აქვს, სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფლობელებისა და იმ პირების გარდა, ვისაც არაშრომის შემოსავალი აქვს (საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგებით გადამხდელნი).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 12.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 167 №-ში 1931 წ. ივნისის 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

143. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელისშემწყობი კომისიების მუშაობის შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელისშემწყობი კომისიებისა და ამიერკავკასიის შემნახველი სალაროების სამმართველოს მოხსენებანი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ხელისშემწყობმა კომისიამ, 1930 წელს ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ, გააცოცხლა თავისი მუშაობა მისი შედგენილობის განახლების მომენტიდან 1930 წ. სექტემბერში და აქტიურ ხელმძღვანელობას უწევდა თავის სისტემის მუშაობას „ხუთწლედის ოთხ წელიწადში" შესრულების სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩატარებისათვის და შემნახველ სალაროებში ანაბართა ნაკადის გაძლიერებისათვის. ამიერკავკასიის ხელისშემწყობი კომისიის ეს მუშაობა სათანადოდ შეფასებულ იქნა ხელისშემწყობი კომისიების ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. აპრილის 1-ის დადგენილებაში, რომლითაც ამიერკავკასიის ხელისშემწყობ კომისიას მიენიჭა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გარდამავალი დროშა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესხის რეალიზაციასა და საშემნახველო საქმეში საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის.

2. აღინიშნოს, ამასთან ერთად, რომ აპრილიდან ამიერკავკასიის ხელისშემწყობი კომისია სრულიად უმოქმედობდა, მან არ გამართა არც ერთი სხდომა და არ განახორციელა არავითარი ხელმძღვანელობა ა/კსფსრ ხელისშემწყობი კომისიების სისტემის მუშაობისათვის მასური სესხის რეალიზაციის კამპანიის მომზადებ.ს უაღრესი მნიშვნელობის მოვნტუნ.

3. აღინიშნოს, კერძოდ, რომ ამიერკავკასიის ხელისშემწყობი კომისიის ასეთი უმოქმედობის გამო სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კალინინისა, ხელისშემწყობი კომისიების ცენტრალური კომიტეტისა და სხვა უმაღლესი ორგანოების სასწრაფო წინადადებანი, რაც სერიოზულ და დაუყოვნებელ საკითხებს ეხებოდა (სესხისთვის თანხების შეტანის მარცხის ლიკვიდაცია და შემნახველ სალაროებში ანაბართა უკუქცევა, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების დანიშვნა და სხვ.), განუხილველი და შეუსრულებელი რჩებოდა.

4. აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ხელისშემწყობი კომისიის აყოლით უმოქმედობდნენ აგრეთვე რესპუბლიკანური ხელისშემწყობი კომისიები, ხოლო მათმა ქსელმა ქალაქებში მეტად მოადუნა თავისი მუშაობის ტემპები; ხელისშემწყობმა კომისიებმა სოფლად, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, მოლად შეაჩერეს მუშაობა.

5. აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივები: 1931 წლის აპრილის 12-სა—ა/კსფსრ ცენტრალური ხელშემწყობი კომისიების მუშაობის შემოწმების შესახებ და 1931 წ. მაისის 9-ისა—ხელისშემწყობი კომისიების მუშაობის გაძლიერების შესახებ,—რაც გატარებულ უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის ხელშემწყობი კომისიის მეშვეობით და მისი საერთო ხელმძღვანელობით, — აქამდე შეუსრულებელია.

6. ასეთი შეუწყნარებელი უმოქმედობის მოსასპობად წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ხელისშემწყობ კომისიას:

ა) დაუყოვნებლივ გადავიდეს სადამკვრელო ტემპებზე ა/კსფსრ ხელისშემწყობი კომისიების სისტემისათვის შემოქმედებითი ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში და მოკლე ვადის განმავლობაში მოაზდინოს ლიკვიდაცია მისი უმოქმედობის შედეგად წარმომდგარი მარცხისა; დაუყოვნებლივ საომარ ფეხზე დააყენოს მთლად ხელისშემწყობი კომისიების ქსელის მუშაობა, დაწყებული რესპუბლიკანური კომისიებიდან, და გააძლიეროს, კერძოდ. ქვედა ქსელის აქტივობა, განსაკუთრებით რაიონებში და სოფლად;

ბ) შეადგინოს სასწრაფოდ თავისი მუშაობის გეგმა კვარტალურ ფარგლებში და თავისი სხდომების დღის წესრიგი ერთი თვისთვის წინ;

გ) შეიმუშაოს ცალკე, ხელისშეწყობი კომისიების ხაზით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, კონკრეტული გეგმა—ა/კსფსრ-ში „ხუთწლედი“-ს სესხის მე 2 გამონაშვების გავრცელების კამპანიის ჩატარებისათვის და ამ საკითხის გარშემო შექმნას სოციალისტური მეთოდებით მუშაობის სიმკვეთრე (სოც. შეჯიბრი, ბუქსირი, შემხვედრი საკონტროლო ციფრები და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გამართოს ხოლმე რეგულიარულად თავისი სხდომები საჭიროებისადა-მიხედვით, ხოლო დეკადაში ერთხელ მაინც, უპირატესად ამა თუ იმ საწარმოში და საზოგადოებისა და მუშათა აქტივის წარმომადგენლების მონაწილეობით; გამართოს აგრეთვე საგამოსვლო სხდომები ქალაქებსა და რაიონებში;

ე) მოისმინოს ხოლმე თავის სხდომებზე როგორც ცენტრალური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ქვედა ხელისშემწყობი კომისიებისა, ისე ადგილებიდან დაბარებული საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და საკოლმეურნეო ხელისშემწყობი კომისიების თავმჯდომარეების ანგარიშები და მოხსენებები;

ვ) გააძლიეროს ცოცხალი ინსტრუქტაჟი ადგილებზე; ამ მიზნით ორი დეკადის განმავლობაში დაამთავროს ქალაქისა და სოფლის ყველა ხელისშემწყობ კომისიასთან საზოგადოებრივი ინსტრუქტორების ორგანიზაცია და მათი მეშვეობით იქონიოს მუდმივი და უშუალო კავშირი ადგილებთან;

ზ) გააძლიეროს კავშირი უმაღლეს საკავშირო და სამხარეო ორგანოებთან და პერიოდულად წარუდგინოს მათ თავისი მუშაობის ანგარიში; კერძოდ, განახორციელოს უმოკლეს ვადაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზემოაღნიშნული, აპრილის 2-სა და მაისის 9-ის, დირექტივები;

თ) დაიმუშაოს კონკრეტულად საკითხი განსაკუთრებული ფონდიდან დაპრემირების წესის შესახებ—სესხის რეალიზაციისა და დანაზოგთა მიზიდვის სფეროში დავალებების საუკეთესოდ შესრულებისათვის, და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ ფონდის რაციონალურად ხარჯვას.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გააძლიერონ მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევა რესპუბლიკანური ხელისშემწყობი კომისიების მუშაობისათვის, რათა თვითეული რესპუბლიკაში სავსებით განხორციელებულ იქნეს ამა დადგენილების მე 5 მუხლში ჩამოთვლილი ყველა ღონისძიება.

8. მოსმენილ იქნეს ივნისის დამლევს ამიერკავკასიის ხელისშემწყობი კომისიის მოხსენება—ამა დადგენილების შესრულებისა და მიღწეულ შედეგების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 2.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

144. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პროკურატურის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ-ის კონსტიტუციის 42—47 მუხლების თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პროკურატურა—სამყოფელი ადგილით ტფილისში.

2. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად დებულება ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პროკურატურის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 153 №-ში 1931 წ. ივნისის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

145. ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს მოწყობის შესახებ.

„სარკინისგზო სახაზო სასამართლოების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 27-ის დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 57 №-ი, მუხ. 601) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყოს ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოსთან ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლო—სამყოფელი ადგილით ტფილისში.

2. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება და თანაც გაითვალისწინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებთან არსებული სარკინიგზო სასამართლოების ლიკვიდაციის წესი და ვადა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **Ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 153 №-ში 1931 წ. ივნისის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

146. ხელისუფლების სარაიონო და ადგილობრივი ორგანოების განმტკიცების კომისიების მუშაობის შესახებ.

„ა/კსფსრ დარაიონების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი გომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. აპრილის 16-ის დადგენილების განსავითარებლად—დაწესებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ უმოკლეს ხანში თავისთან ხელისუფლების სარაიონო და სასოფლო ორგანოების განმტკიცების კომისიები. აღნიშნულ კომისიებს დააკისრონ ყველა იმ საკითხის დეტალური დამუშავება, რაც დაკავშირებულია დარაიონებასთან (სასოფლო საბჭოების ქსელი, რაიონების რიცხვისა და საზღვრების ზოგიერთი ცვლილება და სხვ.) და აგრეთვე სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის გაუმჯობესებასთან (ინდივიდუალური სარაიონო შტატების სისტემა, სარაიონო აღმასრულ. კომ-ბის აპარატის მუშაობის ფუნქციონალური სისტემა და სხვ.).

აღნიშნული კომისიების მუშაობა დამთავრებულ უნდა იქნეს 1931 წ. სექტემბრის 1-თვის.

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული, 1931 წ. აპრილის 16-ის, დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოწყობილი კომისიის დავალებები—მის კომპენტენციისათვის მიკუთვნებული საკითხების გამო—სავალდებულოა ამიერკავკასიისა და რესპუბლიკაური ორგანოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელ. საგგმო კომ. პრ-მს შეიმუშაოს, ყველა სახალხო კომისარიატის მონაწილეობით, კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა რაიონის ტერიტორიაზე საგგმო და სამეურნეო ღონისძიებათა ერთიანობით განხორციელებისათვის და წარუდგინოს იგი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი რაიონების მომუშავეთა ამიერკავკასიის თათბირის მოწვევა აღნიშნული, ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური, კომისიების მუშაობის შედეგების განსახილველად. აღნიშნული თათბირის მოწვევის ვადა შეფარდებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უახლოეს სესიასთან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 155 №-ში 1931 წ. ივნისის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

147. მოხსენება ა/კსფსრ სასოფლო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ქალთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობის საქმის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის მოხსენება ა/კსფსრ სასოფლო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ქალთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. ნოემბრის 12-ის დადგენილება ა/კსფსრ სასოფლო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ქალთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობის შესახებ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ფაქტიურად არ შეასრულეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მიაქცევს აღნიშნული რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ შეუწყნარებელია ასეთი უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო-პოლიტიკური ღონისძიების განხორციელების დაყოვნება.

2. ხელმეორედ წინადადება მიეცეს აღნიშნული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს გააფორმონ ორგანიზაციულად ერთი დეკადის ვადაზე ქალთა სასოფლო სამეურნეო საწარმოო თათბირები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ზემოაღნიშნულ, 1930 წ. ნოემბრის 12-ის, დადგენილებაში დასახელებულ რაიონებში და მიამაგრონ ამ რაიონებს სამი თვის ვადით თავისი პასუხისმგებელი წარმომადგენელნი.

3. ექვსი დეკადის ვადის გასვლისას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებმა უნდა წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოხსენება ამ ღონისძიების შედეგების შესახებ და იმავე ვადაზე განიხილონ საკითხი აღნიშნული ღონისძიების სხვა რაიონებზე გავრცელების შესაძლებლობის შესახებ და თავიანთი მოსაზრებანი ამის თაობაზე წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 155 №-ში 1931 წ. ივნისის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

148. „ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-16 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მე-16 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 2 ის დადგენილებისა „ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში სადგომების ფასის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-19 №-ი, მუხ. 208) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„16. მე-15 მუხლში გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი სივრცისათვის, რაც დამქირავებელს უჭირავს, იგი გადაიხდის სათანადო საბინაო განაკვეთს არა უმეტეს, ვიდრე ერთი სამად; ამასთანავე, უკეთუ დამქირავებელი მუშა ან მოსამსახურეა, ზედმეტი სივრცისათვის, რაც ოჯახზე მოდის ერთი სულისათვის დაწესებული ნახევარი ნორმის ფარგლებში, ქირას იგი გადაიხდის ერთმაგი რაოდენობით.

შენიშვნა. ამა მუხლით დაწესებულ ზედმეტი სივრცის გადიდებულ ქირას მუშა და მოსამსახურე გადაიხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს ზედმეტი სივრცე, საშეღავათო ნახევარი ნორმის ჩათვლით, შეიძლება ტეხნიკურად გამოყოფილ იქნეს საერთო სივრციდან არაგასავლელი ოთახის სახით, რომელსაც ექნება ცალკე შესასვლელი; ეს გამოყოფა უნდა მოხდეს იმ კანონის თანახმად, რომლითაც გათვალისწინებულია ბინებში იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვა“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 155 №-ში 1931 წ. ივნისის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

149. ა/კსფსრ-ში მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებაში საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

1931 წელს მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის საუკეთესოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის, ბამბისა, თამბაქოს, ჩაისა და სხვა ძვირფასი ტეხნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების ძირითადი ამოცანების აღსრულებისათვის და საკვები ბაზისის შექმნისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—წინადადება მისცენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს:

ა) შეუდგენენ მედგარ ბრძოლას საქმის ჩამშლელი განწყობილების წინააღმდეგ და, წარსული წლის შეცდომების გათვალისწინებით, ფართოდ გაშალონ მასსური მუშაობა მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის გეგმის შესრულებისათვის;

ბ) რადგანაც ზოგიერთი რაიონები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ და ვადაზე არ შეასრულეს თესვის გეგმა, იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი თესვის დამთავრებისა და მარცხის სრული ლიკვიდაციისათვის, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა და მუშაობის საბუქსირო მეთოდი;

გ) საქალაქო საბჭოებმა, მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის მომზადებისა და თავის დროზე ჩატარების მიზნით, დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ მომუშავეთა საჭირო რიცხვის მობილიზაცია თესვის გეგმის სავსებით შესასრულებლად საგარეთუბნო კულტურულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში;

დ) დაუყოვნებლივ შეიმუშაონ, ა/კსფსრ მიწ. სახ. კ-ტის მიერ დადგენილი მარგვლისა და მოსავლის აღების გეგმის საფუძველზე („ზარია ვოსტოკა"-ს 1931 წ. მაისის 19-ის ნომერი), ოპერატიული გეგმები და კონკრეტული ღონისძიებანი მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებისათვის, ამ გეგმებისა და ღონისძიებების სოფლამდე და კოლექტიურ მეურნეობამდე მიწვდენით; ეს გეგმები შედგენილ უნდა იქნეს თვითეული სახის სამუშაოსათვის ცალკე (მარგვლა, დამუშავება, მორწყვა, მარცვლის აკრეფა, თივის აღება და სხვ.), სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების ვადის აღნიშვნით; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საწევი ძალის მაქსიმალური დატვირთვა და შრომის რესსურსების სრული გამოყენება და სხვ.; თანაც მოსავლის აღების დროს არ უნდა მოსცდეს საწევი ძალა და სამარგვლე და მოსავლის აღების ნამანანები—მთელ რიგ თანამთხვევ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩაშლის ასაცდენად (ბამბის დამუშავება, საშემოდგომო თესვის განმზადება, ზამთრისპირული ხენა და სხვ.);

ე) სასოფლო საბჭოებმა სასწრაფო წესით უნდა შეიმუშაონ მუშაობის ოპერატიული გეგმა, რაც უნდა მიაწვდინონ თვითეულ კომლამდე და ღარიბ და საშუალო ოჯახის ყველა წევრამდე;

ვ) სასოფლო საბჭოებმა ორი დღის ვადაზე უნდა აღნუსხონ ზედმეტი მუშაძალა, რათა იგი წარიგზავნოს იმ რაონებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში, სადაც შრომის ბალანსი მეტის-მეტად დაძაბულია (ბამბისა, თამბაქოს და ჩაის საბჭოთა მეურნეობები და მოღანის ველი);

ზ) საბამბე რაიონების სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სასოფლო საბჭოებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ ფართო მუშაობა ბამბის მინდვრების დამუშავებისა და მარგვლისათვის.

2. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—შეამოწმოს ერთი დეკადის ვადაზე ალი-ბაირამლისა, აღდამისა, გეოქჩაისა, საბირ-აბადისა და სალიანის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ საქმისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და, გამოარკვიოს-რა ჩამორჩენის მიზეზი, პასუხისგებაში მისცეს ის პირნი, რომელთაც საფრთხეში ჩაგდეს ისეთი დიდი მნიშვნელობის საქმე, როგორიც არის მინდვრების დამუშავება და მარგვლა.

3. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას:

ა) გამოააშკარაოს, ხუთი დღის ვადაზე, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, ყველა ჩამორჩენილი რაიონი, რომელმაც ჩაშალა თესვის გეგმა, განსაკუთრებით ტენნიკური კულტურებისა (თამბაქო, სოია და სხვ.) და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებთან ერთად, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მონაწილეობით, გამოიკვლიოს საბჭოების ხელმძღვანელობა და მონაწილეობა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების საქმეში;

ბ) რადგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია არადამაკმაყოფილებელი მსვლელობა თამბაქოს თესვის უკვე განვლილი საგაზაფხულო კამპანიისა აფხაზეთში, შეიმუშაოს ხუთი დღის ვადაზე ამ საქმის გამოკვლევის პროგრამა და მოაწყოს ბრიგადა 15 დღით აფხაზეთში გასაგზავნად სამუშაოთა მდგომარეობის შესამოწმებლად აფხაზეთის რაიონებში (სადაც თამბაქოა).

4. რადგანაც პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს საკვებთაბაზისის შექმნის საკითხს, მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს დაუყოვნებლივ გაშალონ თივის აღების კამპანია ისეთი ტემპით, რომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული თივის მოსავლის აღების გეგმა 780.000 ჰექტარზე სავსებით იქნეს შესრულებული.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაუყოვნებლივ შეამოწმონ დასილო-

სების სამუშაოთა მსვლელობა და ეხმარონ ყოველი დონისძიება სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების გეგმის (270.000) ტ. თავის დროზე შესრულებისათვის.

6. ბამბისა და ჩაის კულტურების დაუცადებლად დამუშავებისა და გამარგვლისათვის მუშა ხელის განთავისუფლების მიზნით—მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მისცენ ადგილობრივ საბჭოებს, რათა მათ ღონისძიება იხმარონ მარცვლეული მოსავლის აღების თავის დროზე დამთავრებისათვის, განსაკუთრებით სამამბე რაიონებში, და დაუყოვნებლივ შეუდგენენ იმ ღონისძიებათა შემუშავებას, რაც მაქსიმალურად უზრუნველჰოფს მოსავლის აღებისა და გალეწვის მექანიზაციას, განსაკუთრებით სამამბე რაიონებში (90%—სამამბე რაიონებში და 70%—ჩაის რაიონებში).

7. რადგანაც ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობას უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს (მიმდინარე საამღებო კამპანიაში ექნება 100.000 ცენტნერზე მეტი სასაკონლო გამოსავალი):

ა) მიენდოს სომხეთის სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—დაავალოს ჯაფარაბადის და ვართაშენის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ამ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ აღნიშნული სამარცვლეულო საბჭოთა მეურნეობა მუშა-ძალით მთლად მოსავლის აღებისა და გალეწვის ხნის განმავლობაში;

ბ) რადგანაც აღნიშნულ სამარცვლეულო საბჭოთა მეურნეობას არ მოეპოვება საკუთარი მარცვალსაცავი და სხვა სათანადო სათავსი, წინადადება მიეცეს „სოიუზხლებ"-ს განამზადოს მიმღები პუნქტები და დაუყოვნებლივ მოაწყოს მარცვლეულის გარდაგზავნა, რისთვისაც მოამარაგოს იგი საჭირო რაოდენობის ტომრებით.

8. ვინაიდან საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ტეხნიკური კულტურების ნათესი ერთი-ორად და უფრო მეტადაც გადიდდა და ეს გადიდება მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში საჭიროებს მუშა ძალით უზრუნველყოფას, მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა, საბჭოებსა, პროფესიონალურ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს, რათა მათ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საბჭოთა მეურნეობებს მუშა-ძალით უზრუნველყოფის საქმეში—საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ურთიერთი დახმარების მოწყობით. დამთავრებულ იქნეს ერთი დეკადის ვადაზე სახელშეკრულობო კამპანია და ანაგზროოულად მიღებულ იქნეს ღონისძიება ინდივიდუალური მეურნეობათათვის დახმარების გასაწევად; ეს დახმარება უნდა გაუწიონ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებმა და კოლექტიურმა მეურნეობებმა, განსაკუთრებით მარცვლეულისა და თიესის აღების პერიოდში.

9. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მიაქციონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ადგილობრივი საბჭოების ყურადღება იმ გარემოებას, რომ კოლექტიურ მეურნეობებში შრომის სათანადოდ მოწყობის საკითხები: ნაკრო-

ბით მუშაობის განხორციელება, გაუპიროვნების ლიკვიდაცია, საწარმოო ბრიგადების თავის დროზე შექმნა, აღნუსვის ორგანიზაცია, ნამუშევრობის ნორმის განმარტება და განსაზღვრა და ამ ნორმების თვითეულ კოლმეურნეობამდე მიღწევინება—შრომა-დღის საველდებულო აღნუსხვით, შრომის სოციალისტური ფორმების შთანერგვა (სოც. შეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი), ყველა ეს საკითხი წარმოადგენს პრაქტიკულ ბრძოლის ამოცანას, რაც სდგას ყოველი საბჭოს წინაშე—შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, კოლექტიური მეურნეობების ამ საფუძველზე განმტკიცებისა და მოსავლის წარმატებით აღების უზრუნველყოფის საქმეში.

10. ვინაიდან ქალთა შრომას უდიდესი როლი ეკუთვნის მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიაში, განსაკუთრებით ბამბისა, ჩაისა, თამბაქოს და სხვა ტეხნიკური კულტურებისათვის,—მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ ადგილობრივ საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებს ყოველმხრივ უზრუნველჰყონ პრაქტიკული აღსრულება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერკავკასიის საბჭოთა კომიტეტის გადაწყვეტილებებისა კოლმეურნე-ქალთა შორის მუშაობის შესახებ; თანაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოო თათბირების მოწყობის და გაძლიერების მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის საკითხებისათვის, ბრიგადების მოწყობას და ბრიგადირების მომზადებას, ნაჭრობით მუშაობის შთანერგვას და დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას თან უნდა დაერთვას მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის მთელ პერიოდში ბავშვთა ბაგებისა, ბაქნებისა, საზოგადოებრივი კვებისა და ყველა სხვა საყოფაცხოვრებო ღონისძიების ფართოდ გაშლა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას მინდორში, ბაღჩაში და ბოსტანში.

11. რადგანაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოსავლის ამღები მანქანების შემოზიდვის გეგმა შესრულებულ არ იქნა, მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—წინადადება მისცენ ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) დაუყოვნებლივ მოაწყონ აღნუსხვა თვითეული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ქონებული ყველა მანქანებისა და შეიმუშაონ მთელი რიგი ღონისძიებანი ყველა მანქანისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გამოყენებისათვის;

ბ) დაუყოვნებლივ მოაწყონ რაიონშიგნითი გარდგზავნა მანქანებისა ჩამორჩენილი სასოფლო საბჭოების და აგრეთვე მომეზობლო რაიონების დასახმარებლად;

გ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ „ზაკსელხოზსნაბ“-ის სარაიონო განყოფილებებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მიღებისა და მომხმარებლამდე მიწვდენის საქმის შემოწმებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უკეთუ გამოაშკარავდა ბიუროკრატიული მიდგომა მანქანების განაწილებისადმი და ამ მანქანების დაუდევრად შენახვა, დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მისცენ დამნაშავე პირნი;

ე) საქალაქო საბჭომმა დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმონ დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით, როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი სათანადო ქარხნებსა და სახელოსნოებში, და იხმარონ ღონისძიება სისტემატიური კონტროლის დასამყარებლად, რათა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი თავის დროზე სწარმოებდეს; ავრეთვე დაუყოვნებლივ გამოყოფილ უნდა იქნეს დიდრონ სადგურებზე საკონტროლო საგუშაგონი (ელახი, ბაქო, განჯა, სამტრედია, ერივანი), რომელნიც მეთვალყურეობას გაუწევენ „ზაკსელეხოზსნაბ"-ის ორგანოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის თავის დროზე გამოყიდვას და გაგზავნას.

12. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—წინადადება მისცენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო და საქალაქო საბჭოებს მთლად მასსური მუშაობა გადაატანონ მინდვრ-ად, მოაწყონ მასსური კონტროლი ჭირნახულის მარგვლისა, მორწყვისა და მოსავლის აღების კამპანიისთვის—სასოფლო საბჭოების წევრებისა, დეპუტატებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების იმ წევრების მეშვეობით, რომელნიც რაიონებში, სოფლებში, კოლექტიურ მეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში იმყოფებიან.

13. ა/წ. ივნისის 20-დან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი უნდა შეუდგეს თავის სხდომაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იმ წევრების მოხსენებების მოსმენას მარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის მსვლელობის შესახებ, რომელნიც ადგილებზე მუშაობენ; ამასთანავე, მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას შეიმუშაოს ამ მოხსენებების მოსმენის გეგმა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ივნისის 12.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

150. სატელეგრაფო კორესპონდენციის მსვლელობის საკონტროლო ვადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველომ 1931 წ. ივნისის 15-დან უნდა შემოიღოს სატელეგრაფო კორესპონდენციის მოძრაობის ახალი საკონტროლო ვადები და ეს ვადები დააწესოს სარაიონო ცენტრებსა და რესპუბლიკანურ ცენტრებს შორის არსებული კავშირგაბმულობის საშუალედო პუნქტების რაოდენობის მიხედვით: სარაიონო ცენტრის აპარატიდან უშუალოდ რესპუბლიკანური ცენტრის აპარატზე გადაცემისათვის დეპეშის მსვლელობის ვადად, წარდგენის მომენტიდან დაწყებული ადრესატისათვის ჩაბარების მომენტამდე, დაწესებულ იქნეს მაქსიმუმ 2 საათი; ერთი საშუალედო პუნქტის მეშვეობით გადაცემისათვის—3 საათი; ორი საშუალედო პუნქტის მეშვეობით გადაცემისათვის—4 საათი და 3 საშუალედო პუნქტის მეშვეობით გადაცემისათვის ვის—5 საათი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ივნისის 6.
№ 378.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 167 №-ში 1931 წ. ივნისის 20-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

151. 1931 წელს ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და შეშა-ხეტყის დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა შესახებ.

„ხე ტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხე-ტყის მასალის გამოზიდვისათვის სადამკვრელო თვიურის ჩატარების შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 25-ის თარიღისა და 373 №-ის დადგენილების დასამატებლად (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 144 №-ში 1931 წ. მაისის 28-ს) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. აღინიშნოს 1-ლი კვარტალის გადიდებული გეგმის თვალსაჩინო შეუსრულებლობა, რაც იმით არის გამოწვეული, რომ „შეშა-ხეტყის დამზადებისათვის სადამკვრელო თვიურის ჩატარებისა და შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წლის გეგმის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 9-ის თარიღისა და 324 №-ის დადგენილების რეალიზაციისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, აგრეთვე ა/კსფსრ ცალკეულმა უწყებებმა და ორგანიზაციებმა არ იხმარეს საკმარისი ღონისძიებანი.

II. ხე-ტყის წყლით ჩამოტივტივებისა და შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროდ იქნეს ცნობილი:

1. წინადადება მიეცეს ყველა ხეტყის დამშზადებელ ორგანიზაციას—შეიტანოს ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის დამზადების 1931 წ. მე-II კვარტალის სამუშაოების გეგმაში მიმდინარე წლის I-ლი კვარტალის გეგმის შეუსრულებელი ნაწილი.

2. რადგანაც ძირითადი მიზეზი გეგმის შეუსრულებლობისა არის მექანიზაციის უქონლობა ხეტყის დამზადებისა და ხეტყის წყლით ჩამოტივტივების სამუშაოებზე, შრომის ახალი მეთოდების არასაკმარისად გამოყენება, ნამუშევრობის ნორმებისა, ნაპრობით მუშაობისა და შეფასებათა არქონა, აგრეთვე მუშაობის საბრიგადო მეთოდის არასაკმარისად გამოყენება,—ამის გამო წინადადება მიეცეს ხეტყის დამშზადებელ ორგანიზაციებს:

ა) განახორციელონ ხეტყის დამზადებისა და ხეტყის წყლით ჩამოტივტივების სამუშაოების მაქსიმალური მექანიზაცია;

ბ) სადამკვრელო თვიური ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის მასალის გამოტანისათვის ჩაატარონ ფართოდ გაშლილ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძველზე, რისთვისაც მოაწყონ და მიამაგრონ ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის დამზადების თვითეულ რაიონში არა ნაკლებ, ვიდრე ერთი დამკვრელი ბრიგადა და გამოჰყონ საჭირო სახსარი იმ ბრიგადებისა და იმ ცალკეულ მუშების დასაპრემირებლად, რომელნიც თავს გამოიჩენენ;

გ) შემოიღონ მაქსიმალური ქრონომეტრაჟი და დაიწესონ ყველა სახის სამუშაოსათვის ნამუშევრობის ზედმიწევნითი ნორმა და შეფასება;

დ) ფართოდ გამოიყენონ ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და შეშა-ხეტყის დამზადების სამუშაოებზე მუშაობის საბრიგადო მეთოდი და ნაპრობით მუშაობა.

3. დაეკალოს ყველა ხეტყის დამშზადებელ ორგანიზაციას შეუპირდეს ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს და რესპუბლიკანურ საკოლმეურნეო ცენტრებს—მინდვრის სამუშაოების დამთავრების შემდეგ, კოლექტიური მეურნეობების ჰაპაზნიდვის ტრანსპორტისა და მუშა-ძალის მაქსიმალურად გამოყენების შესახებ ნედლეულის სატივტივე მდინარეებამდე და რკინის გზის სადგურამდე მიზიდვის სამუშაოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდივიდუალურთა მიმართ ჩაატარონ ხეტყის წყლით ჩამოტივტივების ხელისშემწყობი საგანგებო სამეულების და სასოფლო საბჭოების მეშვეობით კამპანიები გლეხ-მოსახლეობის მიერ ტყის თვითვალდების წესით გამოზიდვისათვის.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს, ამა დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, დაუთმოს ხეტყის დამზადებისა და ხეტყის წყლით ჩამოტივტივების საჭიროებისათვის მოლად ხელოქონებული კოლექტიური მეურნეობების მუშა-ჟაპანზიდვის ძალა, რაც განთავისუფლდება გაზაფხულის სამიდვრე სამუშაოებისაგან.

მიღებულ ღონისძიებათა შესახებ მიაწოდოს, ერთი დეკადის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ინფორმაცია.

5. წინადადება მიეცეს ხეტყის დამმზადებელ ორგანიზაციებს, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მაქსიმალურად გაშალონ მუშაობა საკუთარი სახსარით მუშა-ჟაპანზიდვის ძალის მოგროვებისათვის.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს:

ა) სასწრაფოდ შეამოწმოს თავისი მომგროვებელი პუნქტების ქსელი და იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება მათი მოქმედების გასაძლიერებლად შეშა-ხეტყის დამზადებისათვის მუშა-ჟაპანზიდვის ძალის მოგროვების სფეროში;

ბ) ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან გამოჰყოს განსაკუთრებული პირნი, რომელნიც პასუხმგებელ იქნებიან შეშა-ხეტყის დასამზადებლად საჭირო მუშა-ჟაპანზიდვის ძალის მოგროვებისათვის;

გ) მიაწოდოს ერთი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ინფორმაცია მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

7. აღინიშნოს, რომ ხეტყის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა არადამაკმაყოფილებელად შეასრულეს მთავრობის უმაღლესი ორგანოების სათანადო დადგენილებანი—მუდმივ მუშათა კადრების დაკომპლექტებისა და საკუთარი ჟაპანზიდვის ტრანსპორტის შეძენის შესახებ, რათა უზრუნველეყოთ 1931 წ. უკანასკნელ კვარტალებში და 1932 წელს შეშა-ხეტყის დამზადების ნორმალური მსვლელობა; ამის გამო წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ტყე-ქაღალდის ტრესტს და გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოს იხმარონ რეალური ღონისძიებანი მუდმივ მუშათა რაც შეიძლება მაქსიმალური კადრების მოსაგროვებლად და საკუთარი ჟაპანზიდვის ტრანსპორტის შესაძენად.

8. წინადადება მიეცეს ყველა ხეტყის დამმზადებელ ორგანიზაციას სადამკვრელო თვიურის პერიოდისათვის წარგზავნოს ცენტრალური აპარატიდან ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის დამზადების ყველა რაიონში სპეციალისტების საჭირო რიცხვი.

9. ეთხოვოს ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—წარავლინოს ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის დამზადების ყველა რაიონში პროფესიონალურ მომუშავეთა საჭირო რიცხვი—შეშა-ხეტყის დამზადებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და შრომის ახალი მეთოდების გასაშლე-

მუხ. 151 — 310 — № 1042-ทททททท

შეშა ხეტყის დამზადებისათვის დანიშნული განსაკუთრებული რწმუნებულის ა/წ. მარტის 24-ის თარიღისა და 87 №-ის ბრძანების თანახმად—გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 82 №-ში 1931 წ. მარტის 25) პასუხისმგებლობა 1931 წელს მთლად ხეტყის წყლით ჩამოტივტივების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის, ხოლო ხეტყის მასალის ჭაპანნიდვის საშუალებით გამოტანის ხელისშემწყობ სამეულებს—პასუხისმგებლობა სადამკვრელო თვიურის ჩატარებისათვის.

18. წინადადება მიეცეს ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) შეამოწმონ ერთი დეკადის ვადაზე ხეტყის მასალის ჭაპანნიდვის საშუალებით გამოიტანოს ხელისშემწყობი სამეულების ორგანიზაცია და ხეტყის წყლით ჩამოტივტივების ხელისშემწყობი საგანგებო კომისიების მუშაობა და განაახლოს მუშაობის-უუნარო სამეულები;

ბ) დაუყოვნებლივ დაავალონ სასამართლო ორგანოებს და პროკურატურას უცალობლად პასუხისგებაში აძლიონ ის პირნი, რომელნიც ჰშლიან შეშა-ხეტყის დამზადებას და განიხილონ სათანადო საქმები რაც შეიძლება სასწრაფო წესით;

გ) წინადადება მისცენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს სასწრაფოდ წარგზავნონ ხეტყის დამზადებისა და ხეტყის წყლით ჩამოტივტივების ყველა იმ რაიონში, სადაც ჯერ კიდევ სამკურნალო დახმარება მოწყობილი არ არის, სამედიცინო პერსონალისა და მედიკამენტების საჭირო რაოდენობა.

19. წინადადება მიეცეს ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის მასალის ჭაპანნიდვის საშუალებით გამოტანის ხელისშემწყობ საგანგებო კომისიებს გადავიდნენ მუშაობის სადამკვრელო ტემპებზე და უშუალო მონაწილეობა მიიღონ ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და შეშა-ტყის დამზადების სამუშაოებში.

ცნობები ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის მასალის ჭაპანნიდვის საშუალებით გამოტანის კამპანიის მსვლელობის შესახებ მიაწოდონ დეკადობით ა/კსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და თავის დროზე იძლეოდნენ სიგნალს მუშაობის მსვლელობის სიძნელეთა თაობაზე სათანადო ღონისძიების მისაღებად.

20. ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის მასალის გამოტანის სადამკვრელო თვიურის ჩატარებისათვის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გასაწევად ა/კსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, ამმ. ყურადღების თავმჯდომარეობით, მოიწყოს შტაბი ამერიკაკავკასიის ტყე-ქაღალდის ტრესტისა, გზათა სახალხო კომისარიატის ამერიკაკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოს, ამერიკაკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ა/კსფარ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა შედგენილობით.

ა/კსფარ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფარ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ივნისის 6.

№ 377.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 156 №-ში 1931 წ. ივნისის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

152. საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების ქსელის განმტკიცებისა და მათი სპეციალიზაციისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

ა/კსფსრ-ში საპროექტო და სამშენებლო საქმის მოწესრიგებისა და საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების სპეციალიზაციისა და ფუნქციების განსაზღვრისათვის, აგრეთვე მპროექტებელთა და მშენებელთა საინჟენერო-სატეხნიკო კადრების რაციონალურად გამოყენებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, „საპროექტო საქმის მოწყობისა და 1931 წელს პროექტებით მშენებლობის უზრუნველყოფისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ“ გამოცემული თავისი 1930 წ. ნოემბრის 26-ის დადგენილების განსავითარებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 21 №-ი, მუხ. 237), ადგენს:

I. ნაწილობრივი რეორგანიზაციის მოხდენის შემდეგ მიღებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციების შემდეგი ნუსხა:

ა. საპროექტო ორგანიზაციების ნუსხა.

ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი.

ინსტიტუტი აწარმოებს საცდელი მშენებლობის ობიექტების პროექტირებას.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემა.

1. **ამიერკავკასიის სამშენებლო შენაერთის ქვემდებარე საპროექტო ტრესტები.** მათ დაეკისრებათ სამრეწველო მშენებლობისა და აგრეთვე სხვა სახის მშენებლობის პროექტების შედგენა არსებული წესით დამტკიცებული წესდებების შესაბამისად.

ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს სისტემა.

2. **საპროექტო ბიუროები.** საპროექტო ბიუროები ადგენენ საბინაო და არასამრეწველო მშენებლობის კომუნალურ ნაგებობათა მშენებლობისა, ქალაქების დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, კეთილმოწყობისა და სოციალისტური განსახლების პროექტებს (საფაბრიკო-საქარხნო დაბების გარდა).

შენიშვნა. საპროექტო ბიუროს გადაეცემა ა/კსფსრ-ში მდებარე დედაქალაქების საპროექტო უჯრედები.

ბ. სამშენებლო ორგანიზაციების ნუსხა.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემა.

1. **ამიერკავკასიის სამშენებლო შენაერთის ქვემდებარე სამშენებლო ტრესტები და დამოუკიდებელი სამშენებლო სამმართველოები.** მათ დაეკისრებათ სამრეწველო მშენებლობა და აგრეთვე სხვა სახის მშენებლობა, არსებული წესისამებრ დამტკიცებული წესდებების შესაბამისად.

ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს სისტემა.

2 **კომუნალური მშენებლობის ტრესტი.** კომუნმშენებლობის ტრესტს დაეკისრება კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა, საბინაო და არასამრეწველო მშენებლობა.

შენიშვნა. კომუნმშენებლობის ტრესტს გადაეცემა ა/კსფსრ-ში მდებარე დედა-ქალაქების სამშენებლო კონტორების აპარატები.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემა.

3. **ამიერკავკასიის სამებამბეო მშენებლობის ტრესტი.** ამიერკავკასიის სამებამბეო მშენებლობის ტრესტს დაეკისრება მშენებლობა სამბამბე მეურნეობის სფეროში (საბჭოთა სამბამბე მეურნეობები, ბამბა-საწმენდი ქარხნები).

შენიშვნა. ამიერკავკასიის სამებამბეო მშენებლობის ტრესტის სამუშაოები გადაეცემა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ტრესტს იმ მომენტიდან, რაც იგი მზად იქნება მიიღოს ეს სამუშაოები.

კოოპერატიული სისტემა.

4. **საბინაო კავშირები.** საბინაო კავშირები აწარმოებენ კოოპერატიული მშენებლობის სამუშაოებს.

გ. საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციების ნუსხა.

(შეერთებულებისა).

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემა.

1. **ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ტრესტი.** ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ტრესტს დაეკისრება:

ა) პროექტების შედგენა და სამშენებლო სამუშაოების წარმოება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ტრესტის ხელთ ქონებული 1931 წ. მშენებლობათა პროექტები მან უნდა დაამთავროს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ტრესტისათვის გადაუცემლად;

შენიშვნა 2. მიმდინარე 1931 წლისთვის სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად დამოუკიდებელი რესპუბლიკანური სას.-სამ. სამშენებლო ორგანიზაციები დატოვებულ უნდა იქნენ;

ბ) სამებამბეო მშენებლობის პროექტირება;

შენიშვნა. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ტრესტს გადაეცემა ამიერკავკასიის სამებამბეო მშენებლობის ტრესტის საპროექტო უჯრედები.

2. **„ზაკსოიუზსელელექტრო“.** „ზაკსოიუზსელელექტრო“ აწარმოებს საპროექტო და საშენებლო სამუშაოებს სოფლის რაიონების ელექტროფიკაციისათვის, ჰიდრავლიური და თბო-სადგურებისა და ქსელის საპროექტო სამუშაოებს და მშენებლობას სოფლის მეურნეობისათვის.

3. **ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო.** იგი აწარმოებს წყალსამეურნეო სამუშაოების პროექტირებას და მშენებლობას წყლის მეურნეობის სფეროში.

მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემა.

4. **ა/კ. საჰამადო მრეწველობის მშენებლობის ტრესტი.** იგი ადგენს პროექტებს და აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს მომარაგების სახალხო კომისარიატის ქვემდებარე მრეწველობისათვის, სავაჭრო-სასაწყობო და სამაცივრო ნაგებობათათვის და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის შენობათა და ნაგებობათათვის.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემა.

5. **ა/კ. ჰიდრო-ელექტრო მშენებლობის ტრესტი.** მას დაეკისრება სარაიონო და რესპუბლიკანური ჰიდრო-ელექტროსადგურების პროექტირება და მშენებლობა.

შენიშვნა. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა/კ. ჰიდრო-ელექტრო მშენებლობის ტრესტის ურთიერთობა რეგულირდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

6. **ა/კ. სან.-ტეხნიკ. სამშენებლო ტრესტი.** იგი აწარმოებს პროექტირებასა და სამუშაოებს გათბობისა და ვენტილაციისათვის (სამრეწველო საწარმოთა გარდა) და შინაწყალსადენისა და კანალიზაციისათვის.

7. **„პრომვენტილიაციის“ ამიერკავკასიის განყოფილება.** იგი აწარმოებს პროექტირებას და სამუშაოებს სამრეწველო საწარმოთა გათბობისა და ვენტილაციისათვის.

დ. ტრანსპორტი.

ა) **ა/კ. სარკინისგზო მშენებლობის სამმართველო.** ა/კ. სარკინისგზო მშენებლობის სამმართველო, იმის გარდა, რომ ადგენს პროექტებს და აწარმოებს მაგისტრალური მნიშვნელობის ფართოლიანდაგიანი რკინის გზების მშენებლობას, ადგენს აგრეთვე პროექტებს და აწარმოებს სამუშაოებს როგორც ფართოლიანდაგიანი, ისე ვიწროლიანდაგიანი მისავალი რკინის გზებისათვის;

ბ) **ა/კ. გზატკეცილებისა, უამრავზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო.** იგი აწარმოებს ყველა უწყებისათვის ხიდებისა და ურელსო გზების პროექტირებას და მშენებლობას;

გ) **ამიერკავკასიის რკინის გზები.** ამიერკავკასიის რკინის გზებისათვის ნაგებობათა და სატრანსპორტო საწარმოთა პროექტირებას და მშენებლობას აწარმოებს ამიერკავკასიის რკინის გზების კაპიტალურ სამუშაოთა განყოფილება.

ე. საკავშირო მნიშვნელობის სამშენებლო საპროექტო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ თავიანთი ფილიალები ან სხვა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ერთეულები, როგორნიც არიან: სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისა, წყლის ტრანსპორტისა, კავშირგამშულობისა, „აზნევთი-"სა, საქართველოს ნავთის ტრესტისა, ტყეარჩელის მშენებლობისა და სხვ. ორგანიზაციები, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებენ თავიანთი წესდებებისა და დებულებების შესაბამისად და აგრეთვე მთავრობის სპეციალური კანონებისა და განკარგულებების მიხედვით.

II. საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების ზემოდ დასახული სპეციალიზაცია გატარებულ იქნეს ძირითადი პრინციპიალური გეზის სახით; ამასთანავე, ცალკეული ობიექტებისათვის, მიზანშეწონილობის მიხედვით, შეიძლება პროექტები შეადგინონ და სამშენებლო სამუშაოები აწარმოონ ისეთმა ორგანიზაციებმა, რომელთა უშუალო სპეციალობაში ეს სამუშაოები არ შედის.

III. ტეხნიკური ძალებისა და საშუალების რაციონალურად გამოყენების მიზნით ცნობილ იქნეს აგრეთვე მიზანშეწონილად კონტაქტის დამყარება ორგანიზაციების სხვადასხვა სისტემებს შორის და შემოღებულ იქნეს პრაქტიკად, მათი შეთანხმების მიხედვით, რომ ერთი ორგანიზაციის სგგამგებელო წერილი და საშუალო სამუშაოები გადაეცეს ხოლმე მეორე ორგანიზაციას, რომელიც უწყებულ ადგილს აწარმოებს დიდ მშენებლობას, უკეთუ პირველ ორგანიზაციას ამ რაიონში არ აქვს თავისი კონტორა ან განყოფილება.

IV. ის პროექტი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სახის საპროექტო ერთობლივ სამუშაოებს, როგორც საერთო წესი, უნდა მიიღოს შესასრულებლად ერთმა საპროექტო ორგანიზაციამ და სახელდობრ იმ ორგანიზაციამ, რომლის სამუშაოებსაც უწყებულ ობიექტში აქვს ძირითადი მნიშვნელობა.

იმ საპროექტო ორგანიზაციამ, რომელმაც მიიღო შესასრულებლად პროექტი მთლიანად, უკვე თითონ უნდა გადასცეს პროექტის ცალკეული ნაწილების სამუშაოები შესასრულებლად სხვა საპროექტო ორგანიზაციებს მათი სპეციალობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ცალკეულ შემთხვევაში თვით შემკვეთს შეუძლიან საპროექტო სამუშაოები გადასცეს სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციას მისი სპეციალობის მიხედვით.

V. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა თბო-ძალოვან დანადგამთა პროექტირებისა და აგების სამუშაოებისათვის ა/კსფსრ-ში მოეწყოს „ენერგოსტროი“-ს განყოფილება.

VI. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემაში მოწყობილ იქნეს სპეციალური საპროექტო-სამონტაჟო კონტორა ელექტრო-მექანიკური სამუშაოებისათვის.

VII. ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოსთან მოწყობილ იქნეს კომუნალური მშენებლობის ტრესტი და საპროექტო ბიურო და მათ ამოცანებში შეტანილ იქნეს საბინაო და არასამრეწველო მშენებლობის კომუნალურ საწარმოთა, პროექტირება და მშენებლობა, აგრეთვე ქალაქების დაგეგმვა, გადაგეგმვა და კეთილმოწყობა.

დაევალოს ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, შეიმუშაოს და წარმოუდგინოს, ერთი დეკადის ვადაზე, განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულება კომუნალური მშენებლობის ტრესტისა და საპროექტო ბიუროს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ივნისის 11.

№ 379.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

153. ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობებში კვების მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის წარმომადგენლის ამხ. დუდაევისა, „სკოტოვოდ“-ის წარმომადგენლის ამხ. რუდაკოვისა, „ოვცევოდ“-ის წარმომადგენლის ამხ. ტერ სარქისოვისა, „სვინოვოდ“-ის წარმომადგენლის ამხ. იერომაშვილისა, „სოიუზხლობოკ“-ის წარმომადგენლის ამხ. ნოვიკოვისა, „საქართველოს ჩაის“ საკავშირო შენაერთის წარმომადგენლის ამხ. ბოლქვაძისა და ჯიბუთის მოხსენებანი და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვარძიელის თანამოხსენება—საბჭოთა მეურნეობებში კვების საქმის მოწყობის თაობაზე პარტიისა და მთავრო-

ბის მიერ გაკეთული დირექტივების აღსრულების მსვლელობის შესახებ,—ა/კოფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ როგორც ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა და რესპუბლიკანური სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირებმა, ისე საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და პროფესიონალური კავშირთა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს საბჭოთა მეურნეობების მუშების საკვები პროდუქტებით მომარაგებისა და ამ მეურნეობებში საზოგადოებრივი კვების მოწყობის საქმეს, რასაც შედეგად მოჰყვა:

ა) ის, რომ საზოგადოებრივი კვებით მოცული საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა მცირე პროცენტი (1931 წ. მაისის 1-თვის—35,5%-ი) და რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია თვისებრივ მაჩვენებელთა მდგომარეობა, სახელდობრ: სადილები ცუდი თვისებისაა და გასაცემი სადილების ფასი გადიდებულია (40—75 კაპ.), საქმეში არ არიან კვალიფიციური მომუშავენი, შრომის დისციპლინა დაბლა სდგას, არ არსებობს გაშლილი სოციალური შეჯიბრება და დამკვრელობა და დაცული არ არის საბჭოთა მეურნეობებში დახურული სასადილოების არსებობის პრინციპი, რადგანაც ეს სასადილოები მოსახურეობას უწევენ ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ საბჭოთა მეურნეობებთან;

ბ) ის, რომ სასადილოებს არ აქვთ საკმარისი გაწყობილობა და ინვენტარი და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვებისათვის გამოსაყოფი ფონდები, და არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს ადგილობრივ ხელთქონებულ საშუალებათა მანევრირება;

გ) ის, რომ ბიუროკრატიულმა დაყოვნებამ იჩინა თავი საბჭოთა მეურნეობების ზაფხულის სეზონში სალაშქრო სამზარეულებით, თერმოსებით და სადღურებით უზრუნველყოფის საქმეში;

დ) ის რომ „აზერიტტიფაკ"-მა და ცეკავშირმა დააყოვნეს ხელთქონებული პურის საბჭოთა მეურნეობებზე განაწილება განწესების მიხედვით.

ამისდამიხედვით აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს (პერსონალურად ამხ. ბუკრეევს) შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე და შეიტანოს ა/კოფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოში საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარე წლის მე-III კვარტალისათვის საზოგადოებრივი კვების განვითარების გეგმა და გაითვალისწინოს ამ გეგმაში ის ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვების მაჩვენებლების ამაღლებას.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის საკომხმარებლო კოოპერაციის კავშირის;

ა) დაუყონებლივ გადააკეთოს საბჭოთა მეურნეობებში არსებული ყველა სასადილო დახურულ სასადილოდ;

ბ) სტაციონარულ სასადილოების გაშლასთან ერთად მოაწყოს მოძრაები სამინდვრე კერები;

-405

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაეწესოს გასაცემი სადიღეების ფასის ზღვრული ლიმიტები, რაიონობითი დიფერენციაციით;

დ) გაუთანაბროს საბჭოთა მეურნეობებში მოსაქმე მშენებელი მუშები საბჭოთა მეურნეობების სხვა მუშებს საზოგადოებრივი კვებით გასაწევი მომსახურეობის სფეროში;

ე) გადასნეჯოს საზოგადოებრივი კვების მომუშავეთა არსებული კადრი და გააძლიეროს იგი კვალიფიციური ძალებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—უზრუნველჰყონ გენერალური ხელშეკრულებების იმ ნაწილის შესრულება, რაც ეხება სასადილოებისათვის სადგომების მშენებლობას და მოგვარებას, აგრეთვე საზოგადოებრივი კვებისათვის ტრანსპორტით მომსახურეობის გაწევას სამეურნეო ანგარიშის პირობებზე.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, მე-III კვარტალისათვის საპროდუქტო ფონდების მიღების დროს, გაითვალისწინოს ფონდების გადიდება საზოგადოებრივი კვებისთვის საბჭოთა მეურნეობებში. ამიერკავკასიის სამიმხმ. კოოპ. კავშირმა უნდა გააძლიეროს საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვების მომარაგება სასურსათო ფონდებით—ნამზადთა დეცენტრალიზებული ფონდებიდან და უზრუნველჰყოს გამოყოფილი ფონდების მიწოდება უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებისათვის, ხოლო საბჭოთა მეურნეობების შენაერთებმა უნდა იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი დამატებითი რესურსების საშოვნელად ბოსტნეულისა, რძის ფერმებისა და სხვ. მისთ. მოწყობით; დაეკალოს ამიერკავკასიის საზოგადოებრივი კვების შენაერთს უზრუნველჰყოს კონტროლი და ზედამხედველობა საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი კვებისათვის გამოყოფილი სასურსათო ფონდების რეალიზაციისათვის პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

5. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, წარუდგინონ, არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 22-სა, თვიანი ცენტრების მეშვეობით, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სამიმხმ. კოოპ. კავშირს ფაქტიური და საგეგმო ცნობები მე-III კვარტალისათვის საბჭოთა მეურნეობების მუშების რაოდენობის შესახებ და აგრეთვე შეატყობინონ ხოლმე ყოველ დეკადაში, დაწყებული ა/წ. ივნისის 15-დან, ცნობები მუშა-ძალის მოძრაობის შესახებ.

6. დაეკალოს ამიერკავკასიის საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს სისტემატიურად აუწყონ ხოლმე ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის საზოგადოებრივი კვების შენაერთს ყველა ის შემთხვევა, როდესაც ამა დადგენილებას დაარღვევს ვინმე—სათანადო ღონისძიების მისაღებად.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. ივნისის 9.

№ 17.

ტფილისი.

მთავლიტი 1700. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400.